შრომის ბაზრის კვლევა

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

2022 წელი

სარჩევი

- შესავალი
- კვლევის მეთოდოლოგია
- მიზანი
- კვლევის ამოცანები
- კვლევის შეზღუდვები
- კვლევის შედეგები
- დასკვნა
- რეკომენდაციები

შესავალი

- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა კვლევა კოლეჯის კვლევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით და 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.სამოქმედო გეგმის თანახმად 2022 წლის ივნისი/ივლისის თვეში. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა შიდა ქართლში არსებული სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა: დავით ჩიხრაძემ საქართველოს კარიტასის გორის ფილიალის ხელმძღვანელმა, ხურვალეთში არსებულმა მოხუცთა თავშესაფარმა, ააიპ სახლი საზღვრებს გარეშე ხელმძღვანელმა ლუდმილა სალიამ. ქ.გორის წმინდა იოანე მოწყალეს სათნოების სახლის დეკანოზმა გიორგი კუპატაძემ.

.

კვლევის მეთოდოლოგია

- კვლევა ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდის გამოყენებით;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელთან ბატონ დავით ჩიხრაძესთან ინტერვიუ დაიგეგმა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში; ხურვალეთში არსებული მოხუცთა თავშესაფარი --ააიპ სახლი საზღვრებს გარეშე ხელმძღვანელთან ლუდმილა სალიასთან ინტერვიუ განხორციელდა სატელეფონო ზარით. ქ.გორის წმინდა იოანე მოწყალეს სათნოების სახლის დეკანოზ გიორგი კუპატაძესთან, კოლეჯ ამაგში.

მიზანი

- წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე დამსაქმებლების მხრიდან არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების შეფასება სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით;
- ასვე დადგინდეს, რამდენად მოთხოვნადია შიდა ქართლის რეგიონისთვის მიმართულება: შინმოვლა და გერიატრიული პაციენტის მართვა , ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა: საექთნო განათლების მოდულების შესაბამისად.

კვლევის ამოცანები:

- შიდა ქართლის რეგიონის არეალში არსებული ჯანდაცვის მიმართულებით (გერიატრიულ და პალიატიური პაციენტების მომსახურების კუთხით)დამსაქმებრლთა მოძიება;
- შიდა ქართლის რეგიონის არეალში არსებული დამსაქმებრლთა დადგენა;
- შიდა ქართლის რეგიონის არეალში არსებული დამსაქმებრლთა საჭიროებების დადგენა;

კვლევის შეზღუდვები

- კვლევაში მონაწილეობა მიიღო სამმა პირმა

კვლევის შედეგები:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი: დავით ჩიხრაძე

- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის საქმიანობა: სოციალური და ჯანდაცვის სამსახური არის გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მუნიციპალური პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას.
- სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:
- ა) ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;
- ბ) მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას;
- გ) ჯანდაცვის მუნიციპალური ობიექტების მართვას;

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი: დავით ჩიხრაძე

- დ) უმუშევართა რეგისტრაციას, მათი პროფესიული გადამზადებისა და სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობას;
- ე) წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე;
- ვ) პროექტების მომზადებას სოციალურად დაუცველი პირების, ვეტერანების და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ დამატებითი სოციალური შეღავათების და დახმარებების თაობაზე;
- ვ1) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სოციალური მუშაობის ჩატარებას, კოორდინაციას და ადმინისტრირებას.
- ზ) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი: დავით ჩიხრაძე

- გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით შიდა ქართლში გორის მერია აფინანსებს სხვადასხვა ორგანიზაციებს რომლებიც აქტიურად ზრუნავენ სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით შიდა ქართლის მოსახლეობაზე.
- 1.ააი.პ ,,ბეთლები '' პროექტი -,,სიკეთის ტალღა '' . ააი.პ ,,ბეთლები" საქმიანობს სოციალური მიმართულებით , პროექტის ფარგლებში ზრუნავენ მზრუნველობა მოკლებულ მარტოხელა მოხუცებზე ,ჰიგიენურ - პროფილაქტიკური (სარეცხის რეცხვა .სოციალური სამრეცხაო)და სხვა მათთვის საჭირო აქტივობების განხორციელებაზე.
- 2. ა.(ა)ი.პ.,,კარიტასი ''პროექტი -,,შინმოვლის განვითარება შიდა ქართლში ''მარტოხელა და სიღარიბის ზღვარს მიღმა სხვა და სხვა საჭიროების მქონე 200 მოხუცებულთათვის ხორციელდება შინმოვლა (სამედიცინო,საექთნო ,სოციალური სერვისები)

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი: დავით ჩიხრაძე

- 3)(ა)ი.პ,, ს.ს.კ.''(საქართველოს სამარიტელთა კავშირი).პროექტი -,, ხანდაზმულთა შინმოვლა გორსა და მის მიმდებარე სიფლებში ''. შინმოვლის საჭიროების მქონე 90 ბენეფიციარის შინმოვლა .მათი მედიკამენტებით ,ჰიგიენური საშულებებით და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევა
- 4) ა(ა) ი.პ,,საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“,,საქმიანობათა ცენტრში გორში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისთვის ''.პროექტი ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურად დაუცველი , დევნილი, შ.შ.მპირების და სხვა და სხვა კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფების მომზადებას კატასტროფების პერიოდში მათი ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებში ჩართვას.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი: დავით ჩიხრაძე

- 5)ა.(ა)ი.პ.,, ს.ს.კ. ‘’(საქართველოს სამარიტელთა კავშირი).პროექტი - ,,საკვების მიწოდების სერვისი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ პირთათვის ‘’.გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 20 სოციალურად დაუცველი , გადაადგილება შეზღუდული ბენეფიციარისთვის ,გორისა და ატენის ეპარქიის უფასო სასადილოდან კვირაში 2-ჯერ ქალაქში და კვირაში ერთხელ სოფლად ცხელი საკვების მიწოდება ,საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარება და სოციალური კონსულტაციით დახმარება .
- 6)ა(ა)ი.პ. ,,შენი თბილი კერა ‘’.პროექტი - ერტი წლის განმავლობაში სოციალურად დაუცელი უკიდურესად გაჭირვებული 16 ადამიანის მოხუცებულთა თავშესაფრით უზრუნველყოფა (კვება, 24 საათიანი მომსახურება ,რეაბილიტაცია).მერიის დაფინანსება 10 000 ლარი (კომუნალური).თვითდაფინანსება 99 600 ლარი.პროექტის მთლიანი ღირებულება 200 400 ლარი;

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი: დავით ჩიხრაძე

- 7)ა.(ა)ი.პ.ქალთა ასოციაცია ,,თანხმობა ''. პროექტი,, ღირსეული სიბეტრე -IV ეტაპი ''გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული 70 ხანდაზმულების სოციალური ინკლუზია , რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია .მათ შორის მარტოხელა სოც. დაუცველი მოხუცებისთვის (34 ბენეფიციარი)დღის ცენტრის მომსახურება.

ხურვალეთში არსებული მოხუცთა თავშესაფარი - ააიპ სახლი საზღვრებს გარეშე ხელმძღვანელი ლუდმილა სალია.

- ხურვალეთში არსებული მოხუცთა თავშესაფარს არ ყავს კვალიფიციური კადრი რომელიც იზრუნებს მოხუცთა საჭიროებებზე, რეგიონში არსებული თავშესაფარში 8 ბენეფიციარია რომელზეც ზრუნავს 4 პირი.

წმინდა იოანე მოწყალეს სათნოების სახლი-- დეკანოზი გიორგი კუპატაძე

- ქალაქ გორში იგეგმება წმინდა იოანე მოწყალეს სათნოების სახლის გახსნა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გარემონტდა შენობა, სადაც მომავალში ბუდეს დაიდებს სათნოების სახლი.
- დეკანოზი გიორგი კუპატაძის განცხადებით სათნოების სახლი მომსახურეობას გაუწევს რეგიონში პალიატური და გერიატრული პაციენტებს. ჰოსპისში იქნებიან ის პირები რომელთა ჰოსპიტალიზაცია ვეღარ ხერხდება და სახლშიც მათი მოვლა შეუძლებელია.ხანდაზმულები დღის მონაკვეთს გაატარებენ ცენტრში და მიიღებენ სამედიცინო დახმარებას.
- სათნოების სახლი გააერთიანებს შინმოვლის სამსახურს, ჰოსპისს და დღის ცენტრს.
- სათნოების სახლში დასაქმდებიან მოწყალების დები, რომელთაც უნდა ქონდეთ საჭირო განათლება.

დასკვნა

- ჩაღრმავებული ინტერვიუს შედეგად შეგვიძლია ითქვას, რომ რეგიონში არსებული დამსაქმებლებს აქვთ კვალიფიციურ კადრების საჭიროება სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით.
- დამსაქმებლები აცხადებენ კოლეჯთან თანამშრომლობის და მისი კურსდამთავრებული კადრის დასაქმების მზაობას.

რეკომენდაცია

- კოლეჯის მიერ შემუშავდეს დამსაქმებლებზე მორგებული პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები ჯანდაცვის მიმართულებით.